

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ქალბატონებო და ბატონებო,

2022 წელი, როგორც კოვიდეპიდემიის შემდგომი პერიოდი გარკვეული გამოწვევებით ხასიათდება. ამიტომ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის გამართულ მუშაობას, რათა სწორად დაიგეგმოს საქმიანობა და უზრუნველყოფილი იქნეს მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამართული მუშაობა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის #30 დადგენილებით და განისაზღვრა 8567.3 ათ. ლარით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვეში ბიუჯეტში განხორციელდა 8 ცვლილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, რომელიც განისაზღვრა 2 896 545,67 ლარით, საიდანაც 2 278 727,44 ლარი არის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი და 617 818,23 ლარი მუნიციპალიტეტის ძირითადი სახაზინო ანგარიშის ნაშთია. ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში საგემო მაჩვენებლების გაზრდით, შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადანაწილებით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტმა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 17420,9 ათ.ლარი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 13682,0 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 10149,9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 74,2 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 545,0 ათ.ლარი ფაქტიურად შემოვიდა 577,6 ათ.ლარი, რაც გეგმის 106 %-ია. დღგ შესრულდა 98,4%-ით (გეგმა 6254,2 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 6153,3 ათ.ლარი). გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 6622,2 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3084,1 ათ ლარი, ანუ გეგმის 46,6 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა 463.8 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 350,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 75.5 %-ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 5448,0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 2311,9 ათ.ლარი, გეგმის 42,4%. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 257,5 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 334,9 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 130,1 %-ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადებიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 70 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 115,7 ათ. ლარი, გეგმა 165,3 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 6,5 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 4,9 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 75,4%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 65,0 ათ. ლარი, ფაქტიურად

შემოსულია 22,9 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 35,2%-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 29,5ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 12,0 ათ. ლარი ანუ გეგმის 40,7 %, შერეული და სხვა

2.

არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 96,0 ათ.ლარი და ფაქტიურად შემოსულია 184,3ათ.ლარი გეგმა შესრულდა 192 %-ით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 12,0 %-ით. (გეგმა 52,5 ათ.ლარი, ფაქტი 6,3 ათ.ლარი) . როგორც შემოსულობების ციფრობრივმა ანალიზმა გვიჩვენა გადაჭარბებით არის გეგმები შესრულებული ქონების გადასახდში , ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადში, შერეულ და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში. შესრულების მაღალი მაჩვენებელია დღგ-ში(98,4%), დასახლებულის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელში(75,4%). შემოსავლების გეგმების შესრულების შესაბამისად იზრდება გადასახდელების დაფინანსება, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პროგრამების შესრულებას.

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 780,6 ათ. ლარი, დაიხარჯა 707,4 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 90,6 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1994.9ათ ლარი, დაიხარჯა 1837,7ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 92,1 %-ით. თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 75,6%, (გეგმა -76.2ათ. ლარი, ფაქტი - 57,6 ათ. ლარი). სარეზერვო ფონდი დამტკიცებული იყო 70.0 ათ.ლარი,9 თვეში გაიხარჯა 53.2 ათ.ლარი, წლიური გეგმის 76%.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 11119,5ათ.ლარით და დაფინანსდა 4942,8 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 3174,3 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 227,9 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 163,1 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 230,7 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 180,5ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯია 6.3 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 471,1ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 282,8ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 238,4 ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 52,4 ათ.ლარით ნაცვლად 845,7 ათ.ლარისა. აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმით , რომ საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ასახვა ბიუჯეტში ხორციელდება სრული მოცულობით

ეტაპობრივად(გამომდინარე განკარგულებების ცვლილებიდან) , ხოლო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესრულება ხორციელდება თანახმად სახელმწიფო შეყიდვების კანონისა. მითითებულ პრიორიტეტში დასრულებულია 3.

რამოდენიმე პროექტი, რამოდენიმე დასრულების პროცესშია, გარკვეულ პროექტების შესრულება ახალი დაწყებულია, ნაწილი ხელშეკრულების გაფორმების პროცესშია და ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სამუშაოები აქტიურ ფაზაშია როგორცაა საამშენებლო მიმართულებით, ასევე სარეაბილიტაციო ხაზით. აქვე მინდა გაცნობო, თ რომ აღნიშნულ პრიორიტეტში მნიშვნელოვნად დაბალი შესრულება გვაქვს დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების პროგრამაში. როგორც საკრებულოსათვის ცნობილია საქართველოს მთავრობის განკარგულებით ჩვენი მუნიციპალიტეტი განთავისუფლდა ამ პროგრამისაგან 2022 წელს. მაგრამ ასევე, როგორც თქვენთვის ცნობილია მგფ-ის მოთხოვნის შესაბამისად მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების სახით უნდა დაფაროს სოფ.ზუბისა და სოფ.ღვირიშის საავტომობილო გზების რკინა ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, რომელთა ღირებულება პროექტის ღირებულების 15%(პროექტის ღირებულება 5081,8 ათ,ლარია), რაც თანხობრივად 762276,3ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა, რომელიც მუნიციპალიტეტის ჭარბი შემოსავალი იყო სრულად აისახა ამ პროგრამაში.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 94,3%-ით (გეგმა 1041,8ათ ლარი, ფაქტი - 982,4 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 94,8%-ით (გეგმა -968,3ათ. ლარი, ფაქტიური - 917,5 ათ. ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 88,3 %-ით (გეგმა -73,5ათ. ლარი, ფაქტიური 64,9 ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 1448,6 ათ.ლარით და დაფინანსდა 1392,0ათ ლარით,გეგმა შესრულდა 96,1%-ით. მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 99,7%-ით, (გეგმა 224,1 ათ.ლარი, ფაქტი 223,4ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“, დაფინანსდა 97,3%-ით (გეგმა 81,7ათ.ლარი, ფაქტი 79,5ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 98,6%-ით (გეგმა 124,1ათ.ლარი,ფაქტი 122,4ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 95,1%-ით, (გეგმა229,1ათ. ლარი ფაქტი217,8 ათ.ლარი)მუზეუმი და გალერეა დაფინანსდა 89,8%-ით (გეგმა 125,7ათ. ლარი, ფაქტი 112,9ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 98,3%-ით (გეგმა 53,9თ.ლარი, ფაქტი 53,0ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 95,9%-ით (გეგმა 41,1 ათ. ლარი, ფაქტი 39,4ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 98,4 %- ით (გეგმა - 122,9 ათ ლარი, ფაქტიური - 120,9ათ. ლარი),კულტურული ღონისძიებების 94,9%-ით, (გეგმა31,2 ათ.ლარი, ფაქტი 29,6ათ.ლარი), რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 89,3%-ით (გეგმა 24,2ათ.ლარი ფაქტი 21,6 ათ.ლარი), „ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 97,7%-ით (გეგმა 70,3ათ.ლარი, ფაქტი 68,7

ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 98,4%-ით,(43,1 ათ.ლარი, ფაქტი 42,4ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 96.3%-ით

4.

(გეგმა 177,8ათ.ლარი,ფაქტი 171,3 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 93,0%-ით (გეგმა 90,4ათ.ლარი, ფაქტი 84,1 ათ.ლარი). სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 87.6%-ით (გეგმა 555,0ათ.ლარი ფაქტი 486,1ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 96,0%-ით (გეგმა 75,8 ათ. ლარი, ფაქტი 72,8 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 91,2%-ით (გეგმა 331,3 ათ. ლარი, 303,9ათ.ლარი). უფასო სასაბუღალტრო დაფინანსდა 74,0 %-ით (გეგმა 147,9ათ.ლარი ფაქტი 109,4ათ. ლარით). აღნიშნული პროგრამების შერულებაზე 2022 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კოვიდ19 -ის პანდემიის შეზღუდვები, ხოლო მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო როგორც კულტურული და სპორტული, ასევე ახალგაზრდული ღონისძიებები და შესაბამისად გაიზარდა ამ პრიორიტეტების დაფინანსება.

განმარტებით ბარათს თან ახლავს

დანართი 1- ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში .

მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და ხელისუფლების მხარდაჭერით 2022 წლისათვის არაერთი პროექტის დაგეგმვა- განხორციელება გახდა შესაძლებელი.

2022 წელს რეგიონული პროექტების ფონდის დაფინანსების ლიმიტი შეადგენდა 2 549 895 ლარს, რომლიც გადანაწილდა ქ. ცაგერში ქუჩებისა და ეზოების ასფალტობეტონის საფარის მოწყობის (283291ლარი), ორბელის ფოსტის უბნის (90 000 ლარი), ორბელი-ლაცორიის გზის (328 198 ლარი), ჩხუტელის შემოვლითი გზის ასფალტირების (370379 ლარი), ტვიშის გზის (525 764 ლარი). წიფერჩის გზის (192 533 ლარი), ქვედა ცაგერის სიბიკარისა და საკრებულოს შენობის ასასვლელი გზის (266 778 ლარი), ლასურიაში-დეხვირის გზის პირველი ეტაპი (206 973 ლარი). აღნიშნული პროექტებიდან დასრულების ფაზაშია ორბელის ფოსტის უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, დაწყებულია ლასურიაში-დეხვირის გზის რეაბილიტაცია, აგრეთვე მიმდინარეობს სოფ. წიფერჩში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა (727 727) ლარი, ორბელის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია ((209 780) ლარი, ქულბაქის საბავშვო ბაღის მშენებლობა (498 114) ლარი, სოფელ ლაჯანაში "კინიშერის" და "მახარობლიძეების" უბანში გზის რეაბილიტაცია (647 778,03) ლარი, ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფ.აღვის საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა, (პირველი ეტაპი) (500 00) ლარი, ლასურიაში-დეხვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი (848 888) ლარი. სოფელ ქორენიშის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) (506 011)

ლარი, ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე ტურისტული ცენტრის ეზოს შემოღობვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები (153 757)ლარი, ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩა №59

5.

საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაციის და ეზოს კეთილმოწყობა კეთილმოწყობის სამუშაოები (234 729) ლარი.

მთიანი რეგიონების ფონდის დაფინანსებით 2021 წელს დაიწყო ლასურიაში-მახაშის გზის ასფალტო-ბეტონის სამუშაოები, ღირებულება (971 963) ლარი, მომწოდებელი შპს „საქმილმშენი“, დასრულდა სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით „საპილოტე“ რეგიონების ინტენსიური განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წლისათვის წარდგენილი იქნა სოფელ ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაციის პროექტი, (404 406) ლარი, რომელიც ამჟამად დასრულების პროცესშია. ამავე პერიოდში პროგრამის ფარგლებში დასრულდა სოფელ ჩხუტელში გორისუბნის „ღვინის გზის“ პროექტი, (523 203) ლარი და სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, (393 776) ლარი, მიმდინარეობს სოფელ ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე - სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაციის (361 252 ლარი) სამუშაოები.

სტიქიის შედეგად დაზიანებული აღვი-ნაკურალეშის გზის რეაბილიტაცია (59 504 ლარი) დაიწყო გასულ წელს (მომწოდებელი შპს „კავკასიენერგო“), დასრულდა. ქ. ცაგერში კეჭნარის არხის ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, (60 999) ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 620 ლარის სამუშაოები, რაც ძირითადად მოხმარდა გარე განათებების, წყალსადენების, სანიაღვრე არხების და სხვა წინადადებების განხორციელებას, მაგრამ ხრეშის კარიერების უქონლობის გამო შეფერხებულია სასოფლო გზებზე განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობაში.

. 2021 წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა სოფელ ტვიშის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის პროექტი (163 800 ლარი), ქ. ცაგერში დაზიანებული არხებისა და ცხაურების რეაბილიტაციის სამუშაოები (69 011 ლარი), ხოლო სოფელ ორბელში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოთა შესასრულებლად დაიხარჯა 18 635 ლარი, ხოლო სოფ. ზუბის წყალსადენის მოწყობის სამუშაოებზე (4007) ლარი.

6.

მიმდინარე წლისათვის დასრულდა სოფელ ზუბის საჯარო სკოლის ელექტრომომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები, (47 773) ლარი, ჩქუმის საჯარო სკოლის შენობის სახურავის შეცვლის სამუშაოები (34 400) ლარი.

მუნიციპალური ფონდის დაფინანსების ფარგლებში მიმდინარეობს ორბელის საჯარო სკოლის მშენებლობა და ლაილაში-თაბორის გზის რეაბილიტაცია, დასრულდა სოფელ ჩქუმში მდინარე ჯონოულის ხიდის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულია მშენებლობის 6 სანებართვო მოწმობა.

„განახლებული რეგიონების ფარგლებში“ მიმდინარეობს ქ. ცაგერში კოსტავასა და რუსთაველის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოება, რომელის მიზანია ქ. ცაგერის იერსახის გააუმჯობესება. ქ. ცაგერისთვის მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაციას ჩაეყარა საფუძველი-კერძოდ მიმდინარეობს აგრარული ბაზრის მშენებლობა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით დასრულების პროცესშია სოფელ ჩხუტელში მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

საერთო ჯამში ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში დაიხარჯება 13,2 მილიონი ლარი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად 55 ოჯახებზე მომზადდა სტიქიით დაზარალებულთა საინჟინრო გეოლოგიური დასკვნები და ეცნობათ შესაბამისად სტიქიით დაზარალებულებს.

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სფეროში კვლავ პრობლემას წარმოადგენს სერვისის მიწოდების დაფარვის არეალის ზრდა. სრულად მოცულია ქ. ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის, ხოლო 58 სოფლიდან სერვისი ნაწილობრივ მიეწოდება 54 სოფელს.

სოფლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს განხორციელდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები, დღეის მდგომარეობით 58 სოფლიდან 54 სოფელში ნაწილობრივ განხორციელდა გარე განათების პროექტები.

მიმდინარე წელს მოწვეული და ჩატარებული იქნა სარეზერვო კომისიის 5 სხდომა და სულ დაკმაყოფილდა 47 განცხადება თანხით-70 770 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონებისა და ნორმატიული აქტების

7.

შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს, განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარსს, მის მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

2022 წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკური სამსახურის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება,

2022 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის საკითხს და უზუფრუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებებს, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებისათვის, ამავე პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა მუნიციპალური ქონებების უზუფრუქტით და იჯარის ფორმით გადაცემა, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ადმინისტრირებას უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დაგვა-დასუფთავების მოსაკრებელი, ქონების გადასახადი და სხვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 13682,0 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 10149,9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 74,2 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 545,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 577,6 ათ.ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა იყო 4346,9ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 4495,3 ათ.ლარი.გეგმა შესრულდა 103,4 %-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 6622,2ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3084,1 ათ ლარი, ანუ გეგმის 46,6 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 463,8ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 350,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 75,5%-ით.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 6,5ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 4,9 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 75,4%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწვიდან გეგმა იყო 65,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 22,9 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 35,2 %-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 29,5ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 12,0 ათ. ლარი ანუ გეგმის 40,7%, არაფინანსური აქტივების

კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 12,0%-ით. (გეგმა 52,5ათ.ლარი, ფაქტი 6,3ათ.ლარი)

8.

დამთავრდა 2022 წლის სტატისტიკური ანგარიშების დოკუმენტაციის მომზადება, ამჟამად მიმდინარეობს მისი შესწავლა და დამუშავება.

სამსახური სერიოზულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალური ქონების საიჯარო წესით გაცემულ საკითხებს, დღეისათვის მოქმედებს 24 საიჯარო ხელშეკრულება, საიდანაც ყოველთვიურად ბიუჯეტი იღებს გარკვეულ შემოსავალს, ასევე გაფორმდა უსასყიდლო უზურფრუქტით მუნიციპალური ქონების გადაცემის 10 ხელშეკრულება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციასთან.

სამსახურის მიერ მომზადდა და ჩატარდა 3 ელექტრონული აუქციონი, მუნიციპალური საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება.

მიმდინარე წელს სამსახურს მოუწია სერიოზული ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხისათვის როგორცაა ადრეულ წლებში დარეგისტრირებული მუნიციპალური ქონების ხელახალი რეგისტრაცია, რადგან იმ პერიოდში არსებული სუსტი ტექნიკური საშუალებების გამო ფიქსირდებოდა გადაფარვები სხვადასხვა კერძო სუბიექტების ტერიტორიაზე. უკვე გასწორდა მუსიკალური სკოლის და რაიონული კულტურის სახლის შენობების საკადასტრო ნახაზები. გასწორების პროცესშია წიფერჩის ადმინისტრაციული შენობის კოორდინატები, აღნიშნული საქმიანობა გრძელდება, მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ასევე შემოსულია 30-მდე განცხადება მეორადი მასალის მოთხოვნასთან დაკავშირებით, აქედან ნახევარზე მეტი დაკმაყოფილებულია. მომზადებულია სხვადასხვა სახის 300-მდე ინფორმაცია და კორესპოდენცია, რომელიც ეხება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს.

ასევე სამსახურის მიერ მომზადდა და საკრებულოზე იქნა განხილული 35-მდე საკითხი.

გარკვეული შეფერხებები ფიქსირდება დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების და გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან ქირის გადაუხდელობის კუთხით, თითქმის ყველა იურიდიულ პირთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება მოსაკრებლის გადასახადის თაობაზე, ასევე ა(ა)იპ კომუნალური მეურნეობა აწარმოებს თანხის ამოღებას მოსახლეობიდან.

სამსახურის დაქვემდებარებაშია მუნიციპალიტეტის მერიის 100%-იანი წილით დაფუძნებული 3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო. ერთი შ.პ.ს ლაჯანის

საავადმყოფოს ამბულატორიული გაერთიანება-დღეისათვის უფუნქციოა და მისი საქმიანობა შეჩერებულია, სამსახურში დაწყებულია ამ საწარმოს სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის მომზადება და მისი ლიკვიდაცია მოხდება უახლოეს პერიოდში. მიუხედავად სუსტი მატერიალური-ტექნიკური ბაზისა გამართულად მუშაობა შ.პ.ს.

9.

„საჭე“ რომელიც ეწევა მუნიციპალიტეტში როგორც შიდა სასოფლო ისე საქალაქთაშორისო მამტაბით სამგზავრო გადაზიდვას.

სამსახურმა სერიოზული ღონისძიება გაატარა შ.პ.ს მანქანა ტრაქტორთა პარკის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მოხდა საწარმოს მთლიანი აუდიტორული შემოწმება, კაპიტალურად გარემონტდა რამოდენიმე ერთეული ძვირადღირებული ტექნიკა, სარგებლობის უფლებით მიეცა ახალი მრავალფუნქციური დამტვირთველი, შეიცვალა ხელმძღვანელი, ყოველივე ამან შედეგი გამოიღო და არსებობის მანძილზე წელს პირველად გავიდა მოგებაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მერიის დებულების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამართლებლივი აქტების შესაბამისად.

2022 წლის განვლილ პერიოდში ზედამხედველობის სამსახურმა ზედამხედველობაინსპექტირება გაუწია მუნიციპალიტეტში 2021 წელს დაგეგმილი გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, კერძოდ:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ქ. ცაგერისა და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს (შემსრულებელი შპს „ელიტ ბილდერს გრუპი“), რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 435178 (ერთიმილიონ ოთხასოცდათხუთმეტი ათას ასსამოცდათვრამეტი) ლარს, პროექტი დასრულდა 2022 წლის მაისის თვეში და გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო შემსრულებელი მიმდინარე პერიოდში დაჯარიმდა 71759 (სამოცდათერთმეტი ათას შვიდასორმოცდაცხრამეტი ლარი) ლარით.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ჭალისთავის, წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალის და ქვ.ცაგერის ნაწილის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (შემსრულებელი შპს „უნივერსალ სერვისი“) სახელშეკრულებო ღირებულება შედგენდა 1 588 321,44 (ერთი მილიონ ხუთასოთხმოცდარვა ათას სამასოცდაერთი ლარი და 44 თეთრი) ლარი. პროექტით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი სამუშაოებიც დასრულებულია, თუმცა ვერ იქნა მიღებული

სრული შედეგი მოსახლეობის სრულად წყალმომარაგების კუთხით, რის გამოც ობიექტის მიღებაჩაბარება არ მომხდარა და მიმდინარეობს დამატებითი ექსტერტიზის სამუშაოები. შემსრულებელი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადების დარღვევის

10.

გამო მიმდინარე პერიოდში დაჯარიმდა 59 182,61 (ორმოცდაცხრამეტი ათას ასოთხმოცდაორი ლარი და 61 თეთრი) ლარით.

3. ლასურიაში-მახაშის გზის ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა (შემსრულებელი შპს „საქმილსადენშენი“) სახელშეკრულებო ღირებულება 971 963 (ცხრაას სამოცდათერთმეტი ათას ცხრაასსამოცდასამი) ლარი. პროექტი დასრულდა გეგმაგრაფიკის დაცვით.

4. სოფელ ზედა აღვის წყლის სისტემის რეაბილიტაცია (შემსრულებელი შპს „კვალიფიკაცია“) სახელშეკრულებო ღირებულება 139549,24 (ასოცდაცხრამეტი ათას ხუთასორმოცდაცხრა ლარი და 24 თეთრი) ლარი. პროექტი დასრულებულია, თუმცა გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმდინარე პერიოდში დაჯარიმდა 1256 (ათას ორასორმოცდათექვსმეტი) ლარით.

5. სოფელ ტვიშის ცენტრალური და შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (შემსრულებელი შპს „გია კონსტრაქშენი“). სახელშეკრულებო ღირებულება 163800 (ასსაოცდასამი ათას რვაასი) ლარი. სამუშაოები დასრულებულია და გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო შემსრულებელი მიმდინარე პერიოდში დაჯარიმდა 10 647 (ათი ათასექვსასორმოცდაშვიდი) ლარით.

6. ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია (შემსრულებელი შპს „გამა+“). სახელშეკრულებო ღირებულება 102999,65 (ასორი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდახუთი) ლარი. პროექტი დასრულებულია და გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო შემსრულებელი დაჯარიმდა 4532 (ოთხი ათას ხუთასოცდათორმეტი) ლარით.

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხუტელში გორის უბნის მისასვლელი "ღვინის გზის" რეაბილიტაცია (შემსრულებელი შპს „თთ2019“). სახელშეკრულებო ღირებულება 523203 (ხუთასოცდასამი ათას ორასსამი) ლარი. პროექტი დასრულებულია.

7. სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ აღვი-ნაკურალეში-ცხუკუშერის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები (შემსრულებელი შპს „კავკასიენერგო“)

სახელშეკრულებო თანხა 59 504,65 (ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთასოთხი ლარი და სამოცდახუთი თეთრი) ლარი. პროექტი დასრულებულია.

8. ქალაქ ცაგერში ქუჩებში დაზიანებული არხებისა და ცხაურების სარეაბილიტაციო სამუშაოები (შემსრულებელი შპს „კავკასიენერგო“) სახელშეკრულებო თანხა 69011,99 (სამოცდაცხრა ათას თერთმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) პროექტი

11.

დასრულებულია და გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო შემსრულებელი დაჯარიმდა 3795 (სამი ათას შვიდასოთხმოცდათხუთმეტი) ლარით.

2021-2022 წლის გარდამავალ და გეგმა-გრაფიკის დარღვევით მიმდინარე პროექტების საჯარიმო სანქციებმა მიმდინარე წელს შეადგინა 151 171,61 (ასორმოცდათერთმეტი ათას ასსამოცდათერთმეტი ლარი და სამოცდაერთი თეთრი) ლარი.

ზედამხედველობის სამსახური ზედამხედველობა-ინსპექტირებას უწევდა და უწევს 2022-2023 წლის მიმდინარე და გარდამავალი 24 ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას, საერთო თანხით 8 691 919,76 (რვა მილიონ ექვსასოთხმოცდათერთმეტი ათას ცხრაასცხრამეტი ლარი და 76 თეთრი) რომელთაგან დასრულებულია მიღება

ჩაბარებით 10 პროექტი, დასრულებულია და ექსპერტიზაზეა 3 პროექტი, გარდამავალია 4 პროექტი, ყველა მიმდინარე პროექტზე აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები.

2022 წელს ზედამხედველობის სამსახურმა ინსპექტირება გაუწია და უწევს სოფლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ 52 ხელშეკრულებას, რომელთა სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 493 572 (ოთხასოთხმოცდაცამეტი ათას ხუთასსამოცდათორმეტი) ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ საკასო შესრულებამ 429 367,96 (ოთხასოცდაცხრა ათას სამასსამოცდაშვიდი ლარი და 96 თეთრი) ლარი. შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 87%. დასრულებულია 47 ხელშეკრულება.

სამსახურის მიერ აღკვეთილ იქნა კოსტავას ქუჩა N19-ში მიმდინარე უკანონონო მიშენება.

სამსახურმა რეაგირება მოახდინა ყველა მომართვაზე.

ზედამხედველობის სამსახური აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიერ ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიისა და საგარანტიო თანხების დაბრუნების ინსპექტირებასა და საკომიო წესით განხილვაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 307 ხელშეკრულება , აქედან გამარტივებული შესყიდვა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ჩათვლით)224 ხელშეკრულება.ელექტრონული ტენდერი 60 ხელშეკრულება,კონსოლიდირებული ტენდერი-23 ხელშეკრულება.

I. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულებით

12.

მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 18 ხელშეკრულება თანხით 5 089 478(ხუთიმილიონოთხმოდცხათასოთხასსამოცდათვრამეტი) ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან დასრულებულია 5 ხელშეკრულება .

1.სოფ.ორბელის ფოსტის უბნის გზის რეაბილიტაცია. თანხით -84811,18 (ოთხმოდცაოთხიათას რვაასთერთმეტი ლარი და თვრამეტი თეთრი)ლარი.

2. ქალაქ ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის №43 ეზოსა და რუსთაველის ქუჩის ჩიხის მისასვლელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობის და აღმაშენებლის ქუჩის №75 და №77 ეზოების ასფალტობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. თანხით-268311,18(ორასსამოცდარვაათასამას თერთმეტი ლარი და თვრამეტი თეთრი)ლარი.

3.ორბელი-ლაცორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. თანხით-324667,55 (სამასოცდაოთხიათასექვსასსამოცდაშვიდი ლარი და ორმოდცათხუთმეტი თეთრი) ლარი.

4. სოფ. ტვიში შიდა სასოფლოს გზის რეაბილიტაცია.თანხით- 525764,77 (ხუთასოცდახუთიათას შვიდასსამოცდაოთხი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი)ლარი.

5. სოფ. წიფერჩის სასაფლაოს მიმართულებით გზის რეაბილიტაცია.თანხით-192533 (ასოთხმოდცათორმეტიათასხუთასოცდაცამეტი)ლარი.

სამუშაოები მიმდინარეობს 13 ხელშეკრულების ფარგლებში.

1. სოფელ ორბელის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. თანხით-324998,78(სამასოცდაოთხიათასცხრაასოთხმოდცათვრამეტი ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი)ლარი.

2. სოფ. ჩხუტელში მაქსიმე აღმსარებლის ტაძრიდან სოფლის ცენტრალურ გზამდე ასფალტის საფარის მოწყობა. თანხით-370379 (სამასსამოცდაათიათასსამასსამოცდაცხრამეტი) ლარი.

3. სოფ. ქვედა ცაგერში სიბიკარისა (გორისუბანი) და საკრებულოს შენობის ასასვლელში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით - 266778 (ორასსამოცდაექვსიათასშვიდას სამოცდათვრამეტი)ლარი.

4. ლასურიამი-დებვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია - პირველი ეტაპი. თანხით - 206973,79 (ორასექვსიათასცხრაასსამოცდაცამეტი ლარი და სამოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი.

5. სოფელ წიფერჩში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. თანხით- 727727 (შვიდასოცდაშვიდი ათასშვიდას ოცდაშვიდი)ლარი.(მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 200000 (ორასიათასი) ლარს.)

6. სოფელ ორბელში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. თანხით-209780,73 (ორასცხრაათას შვიდასოთხმოცი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ლარი.

7. სოფელ ქულბაქის საბავშვო ბაღის მშენებლობა. თანხით- 1498114 (ოთხასოთხმოცდა თვრამეტიათასასოთხმეტი) ლარი. (მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 200000 (ორასიათასი) ლარს).

8. სოფელ ლაჯანაში „კინიშერისა“ და „მახარობლიძეების“ უბანში გზის რეაბილიტაცია. თანხით-647778,03 (ექვსასორმოცდაშვიდიათას

13.

შვიდასსამოცდათვრამეტი ლარი და სამი თეთრი) ლარი. (მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 260000 (ორასსამოციათასი) ლარს).

9. ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ. აღვის საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა. თანხით-

1279733 (ერთიმილიონორასსამოცდაცხრამეტიათასშვიდასოცდაცამეტი) ლარი. (მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 500000 (ხუთასიათასი) ლარს).

10. ლასურიაში-დებვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. თანხით-848888 (რვაასორმოცდარვაათას რვაასოთხმოცდარვა) ლარი. (მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 377491 (სამასსამოცდაჩვიდმეტიათას ოთხასოთხმოცდათერთმეტი) ლარს).

11. სოფელ ქორენიშის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი). თანხით-ს 506011,99 (ხუთასექვსიათასთერთმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი.

12. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე ტურისტული ცენტრის ეზოს შემოღობვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. თანხით-153757 (ასორმოცდაცამეტიათასშვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

13. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩა N59 საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაციის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. თანხით-234729 (ორასოცდათოთხმეტიათასშვიდასოცდაცხრა) ლარი.

II. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 54 ხელშეკრულება- 500361,09 (ხუთასიათასსამას სამოცდაერთი ლარი და ცხრა თეთრი) ლარი, აქედან დასრულებულია 46 ხელშეკრულება და სამუშაოები მიმდინარეობს 8 ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულება გასაფორმებელია 18 პროექტზე.

III. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N 926 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით გაფორმებულია ხელშეკრულება:

ლასურიაში-მახაშის გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა. თანხით - 967597,23 (ცხრაასსამოცდაშვიდიათასხუტასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი ოცდასამი თეთრი) ლარი. (დასრულებულია).

IV.საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N754 განკარგულებით 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსებიდან გაფორმებულია ხელშეკრულება: სოფელ ქვედა ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია თანხით-404406,86 (ოთხასოთხიათასოთხასეკვსი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი)ლარი. (მიმდინარე) .

14.

სოფ. ჩხუტელში გორის უბნის მისასვლელი „ღვინის გზის“ რეაბილიტაცია. თანხით-523203(ხუთასოცდასამიათასორასსამი)ლარი.(დასრულებულია).

ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია თანხით-76760,61(სამოცდათექვსმეტიათასშივინასამოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაერთი თეთრი)ლარი.(დასრულებული).

ქვედა საირმის ბუნებრივ სვეტებთან, ძეგლებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია თანხით-393776,88 (სამასოთხმოცდაცამეტიათასშივინასამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი)ლარი. (მიმდინარე).

სოფელ ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე - სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია თანხით- 361252.65 (სამასსამოცდაერთიათასორას ორმოცდათორმეტი ლარი და სამოცდახუთი თეთრი)ლარი.(მიმდინარე).

V. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირებით მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 2 ხელშეკრულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩქუმის საჯარო სკოლის შენობის სახურავის შეცვლის სამუშაოები თანხით - 34400 (ოცდათოთხმეტიათასოთხასი)ლარი. (9დასრულებული).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ.ზუზის საჯარო სკოლის შენობის ელექტრომომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები თანხით 47773,97 (ორმოცდაშივინათასშივინასამოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი.(დასრულებულია).

VI. სტიქია (გადაუდებელი აუცილებლობით) გამართივებული შესყიდვის საშუალებით. სოფ.ზარაგულის სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები თანხით-4800 (ოთხიათასრვაასი) ლარი.

სოფ.სპათაგორში ნაპირსამაგრი სამუშაოები თანხით-6700 (ექვსიათასშივინასი) ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოები თანხით-3455 (სამიათასოთხასორმოცდათხუთმეტი)ლარი.

სოფ.ჩხუტელში მდინარე ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე დამცავი ნაგებობის(ყრილის) მოწყობის სამუშაოები თანხით-1016 (ერთიათასთექვსმეტი) ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა საავტომობილო გზების აღდგენითი სამუშაოები თანხით-39750(ოცდაცხრამეტიათას შვიდასორმოცდაათი)ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფიტარაში ე.წ „გიორბელიძეების“უბანში ხიდ-ბოგირის აღდგენითი სამუშაოები თანხით-5932 (ხუთიათასცხრასოცდათორმეტი) ლარი.

15.

VII. „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N 131 განკარგულება .

ქ.ცაგერში კეკნარის არხის ხიდბოგირის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. თანხით- 60999,97 (სამოციათასცხრასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმცდაჩვიდმეტი თეთრი)ლარი.(დასრულებული).

VII. „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 სექტემბრის N 1679 განკარგულება

სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ ალვი-ნაკურალეში-ცხუკუმერის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები თანხით- ს 59504,65 (ორმოცდაცხრამეტიათასხუთასოთხი ლარი და სამოცდახუთი თეთრი) ლარი. (დასრულებული).

ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ. ზუბში სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა სასოფლო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები თანხით- 93333 (ოთხმოცდაცამეტიათასსამასოცდაცამეტი)ლარი.(დასრულებული).

ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ. უსახელოში სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა სასოფლო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები თანხით-88000 (ოთხმოცდარვაათასი) ლარი.

ასევე გაფორმებულია სხვადასხვა მომსახურებაზე და საქონლის შესყიდვაზე ხელშეკრულებები.

აღნიშნული შესყიდვები განხორციელდა შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

წლის დასაწყისში შემუშავდა და დამტკიცებულ იქნა საკრებულოს მიერ 2022წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი(საკრებულოს დადგენილება N4 20.01.2022წ). ამ პროგრამის მიზანია ეკონომიურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური დაცვა.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს უკიდურესად შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების პროგრამა. ამ

მიზნით წლის დასაწყისში გამოყოფილი იქნა 126233ლარი, შემდეგ თანხა გაიზარდა 21000 ლარით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი უფასო სასადილო (ქ.ცაგერსა და სოფ.ლაჯანაში) და ემსახურება 113 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს(ცაგერი-75 ბენეფიციარი, ლაჯანა-38 ბენეფიციარი). 1იანვრიდან 30 ივნისამდე უფასო სასადილოებს ემსახურებოდა შპს „ალიონი“, დახარჯული თანხა შეადგენს 69 900 ლარს. 1ივლისიდან სასადილოებს მომსახურეობას უწევს შპს „მაგი“. მ/წლის 01.07.22-

16.

დან 31.12.22წ-მდე მომსახურეობა შეადგენს 77333 ლარი. 1 იანვრიდან დღემდე დახარჯულია 107980,93ლარი. საშუალოდ, წლის განმავლობაში ერთ ბენეფიციარზე იხარჯება 4,26ლარი. საშობაო და სააღდგომო საჩუქრებზე დაიხარჯა 5856 ლარი.

მერიაში ფუნქციონირებს 2022წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების მიღებისა და გაცემის საბჭო. 2022წლის განმავლობაში სულ ჩატარდა 9 სხდომა. დახმარება გაეწია 813 ბენეფიციარს, სულ გაიცა დახმარება 210821.95ლარის ოდენობით, მათ შორის მძიმე ოპერაციებში-79227,42ლარი (112ბენეფიციარი), ძვირადღირებული გამოკვლევები-33727,5ლარი(64ბენეფიციარი), ძვირადღირებული ქიმიო და სხივური თერაპიები - 1616,5 ლარი (2 ბენეფიციარი). მძიმე დაავადებათა შემთხვევაში 89984ლარი(495ბენეფიციარი), სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობაზე 24700 ლარი (139ბენეფიციარი).

მერია გარკვეულ სოციალურ დახმარებას უწევს ხანდაზმულ მოსახლეობას (90წელს ზემოთ). ამ მიზნით დახარჯულია 15250ლარი (146 ხანდაზმული 90-დან 95 წლამდე, 8 ხანდაზმული 95-დან 100 წლამდე).

მუნიციპალიტეტის მერიაში აღრიცხვაზე იმყოფება 11 დიალიზზე დამოკიდებული პაციენტი-სულ დაიხარჯა 30300ლარი-თითოეულზე თვეში 300ლარის ოდენობით.

18 წლამდე შშმ პირებს ეძლევათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულს 250 ლარის ოდენობით. სულ 2022წლის განმავლობაში 10 ბენეფიციარზე გაიცა 2500ლარი.

რამდენიმე წელია მერიაში მოქმედებს სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ორსულთა სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის თანახმად თითოეული სოციალურად დაუცველ ორსულზე გაიცემა დახმარება 140 ლარის ოდენობით საკვები პროდუქტების სახით. ამ პროგრამით მერიამ 12 ორსულ ბენეფიციარზე 2022წელს დახარჯა 7810ლარი.

ომის ვეტერანებისათვის ბიუჯეტიდან გაიცემა ერთჯერადი დახმარება 150ლარის ოდენობით, დღეის მდგომარეობით 51 ვეტერანზე გაცემულია 7650ლარი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს ეძლევათ დახმარება თვეში 100ლარის ოდენობით. მ/წელს სულ გაიცა ამ კუთხით 23000ლარი.

მარტოხელა მშობლებისათვის გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 250 ლარის ოდენობით. სულ 8 ბენეფიციარზე გაცემულია 2000ლარი.

17.

ჩერნობილის ატომური აფეთქებისა და 9 აპრილის დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარებისათვის 1 იანვრიდან დღემდე გაიცა დახმარება 1000 ლარის ოდენობით. თითოეულ ბენეფიციარზე 250ლარი.

უსახლკარო ბენეფიციარებზე ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია თვეში 130-დან 250ლარამდე. სულ გაიცა 3790ლარი 5 ოჯახზე.

მ/წლის განმავლობაში მარტოხელა მიცვალებულებზე დაიხარჯა 1000ლარი (4 მოქალაქე).

წარჩინებული სტუდენტების წამახალისებელი დახმარების სახით გაიცა 4400ლარი (8 წარჩინებული სტუდენტი)

2015წლიდან მერიაში ფუნქციონირებს შშმ პირების საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს სხდომა იმართება კვარტალში ერთჯერ. დღეის მდგომარეობით ჩატარებულია 2 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა შშმ პირებისათვის აქტუალური საკითხები.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური აქტიურად არის ჩაბმული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების პროგრამაში. დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 782 მოსარგებლე.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ყოველი თვის დასაწყისში მასპინძლობს ხონის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმებს, რომლებიც ატარებენ უფასო კონსულტაციებს და ამარაგებენ პაციენტებს უფასო მედიკამენტებით.

მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2022 წლის პერიოდში გაწეული იქნა გარკვეული მუშაობა.

სამსახურის დებულების და წლიური სამუშაო პროგრამების მიხედვით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საგანმანათლებლო მიმართულებით:

- მედია პროექტ „ეტალონთან” თანამშრომლობით მოეწყო პროექტ „ეტალონის” სასკოლო და მუნიციპალური ტურები ონლაინ რეჟიმში. ცაგერის 2022 წლის ეტალონმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ფინალურ ტურში და მთლიან საქართველოს მუნიციპალიტეტების ეტალონ მოსწავლეებთან პაექრობაში დაიკავა საპატიო 4 ადგილი.

18.

- ზემოთ აღნიშნა მუნიციპალიტეტში დედაენის დღე.სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის სკოლებმა, მოხდა ნამუშევრების დათვალიერება და ჩატარდა კონკურსები ხატვასა და ასფალტზე ცარცით ხატვაში. მოხდა კადრების ჩვენება დედაენის დღესთან დაკავშირებით.
- სამსახურის მიერ გაეწია მონიტორინგი მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ტრანსპორტირების მდგომარეობას.
- გაეწია მონიტორინგი სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო პროცესს.
- სამსახურის მიერ მოხდა პროექტის შემუშავება და საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის ასოციაციის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება. პროექტმა ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კომპიუტერიზაციის შესახებ მოიპოვა გამარჯვება და მოხდებოდა ბაგა - ბაღების უახლოეს მომავალში კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

კულტურის მიმართულებით:

- მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მოეწყო ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება, რომელსაც ორგანიზება გაუწია ა(ა)იპ გენდერული თანსწორობის, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრმა.
- გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები: მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო თემატური გამოფენა და ჩატარდა კინო ჩვენება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში „დამოუკიდებელი საქართველოს 1005 დღე“.

- 1 - ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქ. ცაგერის ცენტრში მოეწყო ანიმატორთა შოუ ბავშვებისათვის. კულტურის ცენტრში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება „დიდები და პატარები“.

-

19.

- კულტურის ცენტრის ფოლკლორული, ქორეოგრაფიული კოლექტივები, ინდივიდუალური საესტრადო შემსრულებლების ჩართულობით ჩატარდა კონცერტი.
- კულტურის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო საქველმოქმედო კონცერტი კულტურის სფეროს დამსახურებული შემოქმედის, მუსიკის პედაგოგის იზა ხეცურიანის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის.
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ივლისის თვის მეორე ნახევარში მუნიციპალიტეტში მოეწყო თეატრალური კვირეული ქვეყნის პოპულარული თეატრალური კოლექტივების მონაწილეობით. საინტერესო სპექტაკლები წარმოადგინეს კულტურის ცენტრში ქ. თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა, მოზარდ მაყურებელთა თეატრმა სოფელ ლაილაშსა და ბარდნალაში (ლადო ასათინის სახელმწიფოში). კვირეული დასრულდა კულტურის ცენტრში რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლით „მუნწი“.
- ჩატარდა მაქსიმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები. მიმდინარე წლის თებერვალსა და აგვისტოში.
- მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა კოლექტივებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში და კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „სალალობომ“ მოიპოვა ლაურიატის წოდება.
- მოეწყო „ლეჩხუმობა 2022“ სახალხო ზეიმი, რომელიც მიემდვნა ლადო ასათიანის 105 წლის იუბილეს.

ახალგაზრდული მიმართულებით:

- მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა გამოკითხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობასთან თემაზე : „აირჩიე პროფესია“.

- მოეწყო თამბაქოს საწინააღმდეგო აქცია.
- მრავალშვილიან ახალგაზრდა დედებს დედის დღესთან დაკავშირებით გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.
- მოეწყო 9 -აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

20.

- მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაეროს პროექტის „მოდრავი კინოთეატრის ფარგლებში მოეწყო ანიმაციური ფილმების ჩვენება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. წლის განმავლობაში ჩატარდა კინოჩვენებები ქ.ცაგერსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში. ასევე გაიმართა საერთაშორისო საფეხბურთო, სარაგბო და საკალათბურთო მატჩების ღია ჩვენებები საქართველოს ეროვნული ნაკრების გუნდების მონაწილეობით.
- ჩატარდა მუნიციპალური ჩემპიონატი ინტელექტ თამაში რა? სად? როდის?, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 - მა გუნდმა.
- კურორტ ლაშიჭალაზე ჩატარდა პოეზიის საღამო დამსვენებლებისა და ახალგაზრდებისათვის.
- ორგანიზება გაეწია სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით სოფელ ჩხუტელში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობას.

სპორტის მიმართულება:

- ცაგერის მრავალპროფილიან სპორტულ კომპლექსში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ტური ფრენბურთში, სადაც ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ ზედიზედ მესამედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბის ორგანიზებით ჩატარდა მოსწავლე ვაჟთა პირველობა ფრენბურთში.
- მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, ა(ა)იპ ფეხბურთის კლუბის ორგანიზებით მოეწყო მოყვარულთა ლიგის მუნიციპალური შეჯიბრება ფეხბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობდა ოთხი გუნდი. გამოვლინდა ჩემპიონი, რომელმაც იასპარეზა საქართველოს მოყვარულთა ლიგის ფინალური ტურის შესარჩევ შეჯიბრებაში.

- ზაფხულის პერიოდში ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი მინი ფეხბურთში, ორ ზონად ქ. ცაგერსა და სოფ. ლაჯანაში. პირველ მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა იასპარეზეს პლეიოფში, რომელიც ცაგერის სტადიონზე გაიმართა და გამოვლინდა ჩემპიონი.
- სოფ. ჩქუმში ჩატარდა ლუკა ბენიძის სახელობის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში. მონაწილეობდა 6 გუნდი. სულ ზაფხულის პერიოდში ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობა მიიღო 26 გუნდმა (200 - ზე მეტი მოყვარული ფეხბურთელი).

21.

- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბის „ხვამლის“ ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას იღებენ იმერეთის ღია პირველობების გარი სორდიას და ჯემალ ხერხაძის სახელობის ტურნირებში და რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ ტურნირებში.
- მუნიციპალიტეტის მასტერ ლიგის ჩემპიონმა 7X7- ზე ფეხბურთში მონაწილეობა მიიღო რეგიონალურ ტურნირში და მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება.
- ცაგერის მრავალპროფილიან სპორტულ კომპლექსში ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბის ორგანიზებით ჩატარდა ტურნირი ფრენბურთში ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გუნდებს შორის.
- ა(ა)იპ კომპლექსური სპორტული სკოლის ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, თავისუფალი ჭიდაობის, კრივის გუნდების მიერ საერთაშორისო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მოპოვებულია ათეულობით სხვადასხვა სინჯის მედალი.
- ცაგერში ჩატარდა საქართველოს სპორტის ოსტატის და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის კობა ქომეთიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, სადაც მოპოვებული იქნა ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი.
- წლის პერიოდში მოხდა წარმატებული სპორტსმენების ფულადი წახალისება.
- მიმდინარეობს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.
- ჩატარდა წლიური პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალური პირველობა ცხენოსნობაში.

ტურიზმის მიმართულებით

- ამოქმედდა ქ. ცაგერის ცენტრში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, ა(ა)იპ ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი გადაყვანილი იქნა ახლად აშენებულ შენობაში და მუშაობას განაგრძობს სრული დატვირთვით.

- მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების ვიზუალური აღრიცხვა.
- მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები (ღვინის დღეზე ჩასასვლელი ბილიკები, ისუნდერის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკები).
- ქ. ცაგერში პრემიერ მინისტრის ინიციატივით გაიმართა ახალი, ყოველწლიური, ღვინის ფესტივალი „ღვინის დღეები საქართველოში“, ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მეღვინეები და მეწარმეები.

22.

სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დებულების შესაბამისად ხორციელდებოდა ქვემდებარე ა(ა)იპების (დარგების მიხედვით) საქმიანობის მონიტორინგი და მეთოდური დახმარება.

სერიოზული სამუშაოები იქნა გაწეული ზემდგომი ორგანოებიდან შემოსული და მერიის მიერ დაწერილი სხვადასხვა კორესპოდენციების შესრულებისათვის.

მომზადებული და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები საგანმანათლებლო, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროების აქტუალური პრობლემატიკის მიხედვით.

მოგახსენებთ, რომ ვხელმძღვანელობთ რა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებით, ცაგერის მუნიციპალიტეტში გარკვეული საქმიანობა განხორციელდა კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით. კერძოდ:

1. 2022 წლის გეგმა-დავალება შეადგენდა 21 წვევამდელს, ჩარიცხულია 0 წვევამდელი. სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე ვერ შევძელით აღნიშნული დავალების შესრულება. 1. გეგმის შეუსრულებლობაზე იმოქმედა იმ სტუდენტების ნაწილმა, ვისაც სწავლის გამო გადავადება დაუმთავრდა გამოძახების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ არ აქვთ დამთავრებული სასწავლებელი და გაუგრძელდათ გადავადება. სავარაუდოდ ისინი შეგნებულად იტოვებენ საგნებს რათა შეინარჩუნონ სტუდენტის სტატუსი.
2. წვევამდელთა უმეტესობა გასულია როგორც რაიონის აგრეთვე რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ და არ იმყოფებიან საცხოვრებელ მისამართზე, მიუხედავად ჩვენი ახსნა განმარტებისა მშობლები არ ღებულობენ პასუხისმგებლობას მათ გამოცხადებაზე სამხედრო სამსახურში, არ აწერენ ხელს უწყებას.
3. ვინაიდან ჯერ კიდევ დაბალია სამხედრო-პატროტული აღზრდის დონე ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს თვითდაზიანების შემთხვევებს, აგრეთვე მდგომარეობა გარკვეულად შეცვალა ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებებმა („გირჩი“)

2.2022 წელში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 37 წვევამდელი.

3.ზღვრული ასაკის შესრულების გამო სამობილიზაციო რეზერვში ჩაირიცხა 32 წვევამდელი.

4.2022 წელში საკონტრაქტო სამსახურში გაწვეული იქნა 2 წვევამდელი.

5.2022 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა-დავალება შეადგენს 10 წვევამდელს. დღეის მდგომარეობით კანონის 30-ე მუხლით გადავადება მიეცა 130 წვევამდელს,

23.

სამსახური მუშაობს წვევამდელთა გამწვევ კომისიაში გამოცხადებაზე და 2006 წელში დაბადებული ვაჟების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანაზე.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2021 წლის დეკემბერში მომზადდა შიდა აუდიტის 2022 წლის წლიური გეგმა, რომელიც შედგენილია შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის და დამტკიცებულია მერის მიერ. აღნიშნული კანონის თანახმად შიდა აუდიტი აფასებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას, რომელიც დანერგილია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ ეფექტიან პროდუქტიულ გამოყენებას. მიზნად ისახავს დადგინოს თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს აღნიშნული სისტემა და რა წვლილი შეაქვს მას დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში.

შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარ ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნის მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში.

შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკების გამოვლენას და რისკებისადმი შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემის დახვეწას, ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად. დაწესებულების შიგნით არსებული ყველა სისტემას, პროცესს, მოვლენა და საქმიანობა, შეიძლება წარმოადგენდეს შიდა აუდიტორული შემოწმების საგანს. შიდა აუდიტი, ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ და ობიექტურ საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვაში, შიდა კონტროლის და მმართველობითი პროცედურების გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინერგება ახალი სისტემები და პროცედურები.

24.

შიდა აუდიტის სუბიექტის მიზანია მეტი ყურადღება მიექცეს რისკიან სფეროებში იმ რესურსების გამოყენებას, რაც შიდა აუდიტის განყოფილებაშია.

წლიურ გეგმაში განსაზღვრული გვაქვს შიდა აუდიტის შემოწმების სახე და რესურსების განაწილება, წლიური გეგმა, ასევე მოიცავს შიდა აუდიტორული შემოწმების ვადებს, სადაც არის განსაზღვრული წინასწარ დაგეგმილი აუდიტორული შემოწმების ხანგრძლივობა.

აუდიტი ითვალისწინებს აუდიტის ობიექტის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის გაკეთებას, რეკომენდაციების შემუშავებასა და აუდიტის ანგარიშის გაცემას. პროცედურების ჩატარებას ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ასახულ თანხებზე და სათანადო ახსნა განმარტებებზე საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური კანონის შესაბამისად ეხმარება მუნიციპალიტეტს მიზნების მიღწევაში, მის წინაშე არსებული რისკების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებით.

სამსახური ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასებას. სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ინსპექტირების სამსახურის ფუნქციას ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის, აგრეთვე აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურობის დაცულობის შეფასება.

ამ მიზნით შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა 2022 წლის წლიური გეგმის შესაბამისად ჩაატარა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 4 არასამეწარმეო / არაკომერციული იურიდიული პირის, 1-შპს-ს, 1-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის 2021 წლის საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი კერძოდ, შემოწმდა:

1. ა(ა)იპ „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის“- 4 რეკომენდაცია.

2. ა(ა)იპ „ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა“-4 რეკომენდაცია.

25.

3. ა(ა)იპ „ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი“-6 რეკომენდაცია.

4. ა(ა)იპ „ცაგერის ჯანდაცვის ცენტრი“- 5 რეკომენდაცია.

5. შპს „საჭე“-5 რეკომენდაცია.

6. მერიის სტრუქტურული ერთეული „ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური“- 3 რეკომენდაცია.

მიმდინარეობს მერიის სტრუქტურული ერთეულის „საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის“ შემოწმება, რომელიც დასრულდება 2022 წლის ბოლომდე.

აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა - ნაკლოვანებები: საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების მართვაში. ამ მიმართულებებით ხარვეზები გამოვლინდა თითქმის ყველგან განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. ასევე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით. რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტები არ ადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას; არ ახდენენ ბუღალტრულ გატარებებს; არასწორად აღრიცხავენ სამეურნეო ოპერაციებს. არ სრულდება წინა შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციები. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ გაცემულია 27 რეკომენდაცია.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ღირებულების წარმოჩენა და სარგებლის მუდმივი ზრდა სამსახურის უმთავრესი ამოცანაა. სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამსახურის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების

საუკეთესო გზების მოძიებას. სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულ და ეფექტურად მიღწევაზე.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტის საქმიანობის ნებისმიერ შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.

2022 წლისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა უძრავი ქონების სპირადული რეგისტრაცია, მაღალმთიანობის სტატუსის მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა.

26.

2022 წლის მარტში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა 2000-საქმეზე მეტი, რომელზედაც დაწყებული იყო მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოკვლევა. ამჟამად პერიოდულად ხდება მოთხოვნებისამებრ შესაბამისად ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი რესპუბლიკური ორგანიზაციებისადმი.

2022 წლის განმავლობაში ჩატარებულია მაღალმთიანობის სტატუსის მართვასთან დაკავშირებით საბჭოს 11 სხდომა, მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 153 პიროვნებას. სხვადასხვა მიზეზით შეუწყდა 38, ხოლო შეუჩერდა 11 ბენეფიციარს.

მნიშვნელოვნად მოწესრიგდა საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა სახელფასო უზრუნველყოფა, გარკვეულად გაიზარდა მოხელეთა ანაზღაურება და იგი გაუტოლდა რესპუბლიკაში მოქმედ ძირითად მაჩვენებლებს, რომელიც სრულად პასუხობს „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. სხვადასხვა სახის სერთიფიკატი მიიღო 15 მოხელემ, ხოლო სხვადასხვა ტრენინგ კურსები გაიარა 38 მოხელემ და მოსამსახურემ.

გარკვეულად გადაიხედა მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იპ-ების საქმიანობა. დაიხვეწა მათი წესდებები და დებულებები. ა(ა)იპ „ტურიზმის ცენტრში“, ა(ა)იპ „ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობისა და ფერმერული მეურნეობის ცენტრში“ მოხდა კადრების ოპტიმიზაცია. პრაქტიკაში დაინერგა სამეწარმეო სუბიექტების კვარტალური ანგარიშების მოსმენა-განხილვა და სხვა.

ქალბატონებო და ბატონებო,

ვინაიდან მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობა მუდმივად განვითარებადი პროცესია 2023 წელი კიდევ უფრო მეტი გამოწვევებითა და სიახლეებით იქნება დატვირთული. იმედი გამოვთქვამთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული ორგანო - მერია კვალიფიციურად გაართმევს თავს არსებულ პრობლემებს.